



მაშველები მოქალაქეებს სახანძრო-სამაშველო განყოფილების მუშაობის შესახებ ესაუბრნენ



ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე ოზურგეთის სახანძრო სამაშველო განყოფილებამ მათ ხელთ არსებული ტექნიკა წარმოადგინა და აქ მისულ მოქალაქეებს ესაუბრა. სახანძრო სამაშველო სამსახურის

სპეციალისტები მოქალაქეებს უხსნიდნენ, თუ რა სახის დაზმარების გაწვევა შეუძლიათ მათ სტიქიისა და სხვა უბედური შემთხვევის დროს, რა როლს ასრულებდნენ თანამედროვე დროებითი სამაშველო საშუალებების მართვაში და ა.შ.



რეკორდი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 4 (10490) 19 მარტი, 2025 წ. შპსი 1 ლარი.

საკრებულოს სხდომაზე 8 საკითხზე იმსჯელეს



ალიონი. 14 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა. სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 8 საკითხზე იმსჯელეს. საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი განკარგულების პროექტები: „მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, „ქალაქ ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების თაობაზე“, „მუნიციპალიტეტის საკუთრე-

ბაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“, „სოფელ ნატანებში მდებარე მე-44 ქუჩისათვის „ირაკლი ბაქანიძის“ სახელის მინიჭების თაობაზე“, და „სოფელ ნატანებში მდებარე მე-15 ქუჩისათვის „წმინდა ნიკოლოზის“ სახელის მინიჭების შესახებ.“ აგრეთვე, დამტკიცდა შემდეგი დადგენილება: „მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც საკალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.“

რეპრონული მედიის ჟურნალისტების სასწავლო პიზიტი კოლონეთში

ალიონი. 10-14 მარტს მეროშევსკის ფონდის მიწვევით პოლონეთში სასწავლო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა ქართული რეგიონული მედიის წარმომადგენლები. ხუთი დღის მანძილზე მასპინძლებმა მაქსიმალური გააკეთეს, რომ ეს შეხვედრები ყოფილიყო მრავალფეროვანი. ძალიან დაგვახსოვრდა პრესკლუბების საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდიანის, 1989 წლამდე მწიფე პრესის რედაქტორის **იაროსლავ ვლოდარჩიკის** სიტყვები: – ვეროკავშირი არავის არ მოუწოდებს და უბიძგებს ვეროკავშირში შესვლაზე, ვეროკავშირში გაწევრიანება იქნება რთული. ყველა ქვეყანამ უნდა შეასრულოს ყველა ის კრიტერიუმი, რასაც მისგან ითხოვენ. –გეოპოლიტიკურად თქვენი არ მშურს – აღნიშნა ცნობილმა უცხოურ თემებზე მომუშავე რეპორტიორმა რადიო 3,5,7-დან **მაჩეი ოგრაშევსკიმ**, რომელიც 20 წელი მუშაობდა სამხრეთ ამერიკაში. მისი თქმით, რადიო 3,5,7 50 ათას ადამიანზე მეტი ეხმარება, რაც 20,5 მილიონ ევროს შეადგენს წელიწადში. –დაფინანსება ერთის მხრივ არის პრობლემური. რაც მეტი პატარა დამფინანსებელი იქნება, მეტი სტაბილურობა აქვს მედიას –თქვა მან. ძალიან საინტერესო გახლდათ ვარშის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, მაუწყებლობის ეროვნული საბჭოს წევრის **ტაძეუმ კოვალსკის** მიერ წარმოდგენილი თუ რა გზა გაიარა პოლონურმა მედიამ დარსებიდან დღემდე, ბევრს მედიამ არსებულ კრიზის შესახებ და ზოგად მედიამ არსებულ კონკურენტუნარიან გარემოს შესახებ. მანაც აღნიშნა, რომ რადიო პოლონეთში პიპულარულია. „SLAPP“ –ეს არის მოვლენა,

როცა ჟურნალისტებს ებრძვიან –ასე ახსნა ეს ტერმინი მოქალაქეთა ქსელის Watchdog Polska-ს მმართველი საბჭოს წევრმა, **მაქსიმ ბლაშჩიკმა**, რომელიც მუშაობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ხელისუფლების ანგარიშვალდებულებების და სამართლებრივი სახელმწიფოს მხარდასაჭერად აქტიურად მონაწილეოს CASE-ის (SLAPP-ის წინააღმდეგ კოალიცია ევროპაში) და პოლონეთის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. ისინი აქტიურად მუშაობენ მედიის წინააღმდეგ სარჩელების ბოროტად გამოყენების შეზღუდვისათვის. პოლონეთში სამშობლო გადასახადის გადახდის შემთხვევაში 1,5 პროცენტი გადასახადი მიმართის კონკრეტული მედიის მიმართ და ასეულ ათასობით ადამიანი ეხმარება მედიას.



თანამდებობის და Rekord Media Group-ის მმართველი საბჭოს პრეზიდენტის რაფაელ ტატარეკის თქმით, მედიავადუები გააერთიანეს და დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. ისინი ერთმანეთს რეკლამებს უწვენ. აქ 70 რადიოა გაერთიანებული და ისინი სხვა მედიასუბიექტებსაც ეხმარებიან, ცდილობენ გაზეთები შეინახონ, რადგან ბაზარი შემცირდა, რის მიზეზიც სოციალური ქსელებია. ძალიან დიდი მადლობა ჩვენს პოლონელ მეგობარს **დავით კოშკას** მასპინძლობისათვის. ვარშაში ჩვენ ვგრძნობდით პოლონელების თანადგომას და პატივისცემას ჩვენადმი, დანარჩენის სურვილს და ისინი საქართველოს მომავალს ევროკავშირში ინტეგრაციაში ხედავენ. **მარეკ გორჩუნსკის** ფოტო Radio Rekord FM S.A.-ს



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;
— მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა — 200-200 ლარი;
— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;
— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;
— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.
— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30 ლარი;
— სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
— გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საბალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით — 3,20 ლარი,
სამი თვით — 9,60 ლარი,
6 თვით — 16 ლარი,
ერთი წლით — 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.
ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.
რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.

com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი,

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3

ტელ: 558 499 100 გაზეთი

რეგისტრირებულია

ოზურგეთის რაიონულ

სასამართლოში 18. 11. 2004

№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

„მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოქმებათი აღიონზე

«აღიონით»

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა. გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე ნიგვზიანის

ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივებს შეხვდნენ და მათთან ერთად განიხილეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

ბახვი ჰესი გაეროს გლობალური უმთავრესების კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს მფლობელი გახდა



„ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“ — ასე ჰქვია ჯილდოს, რომელიც ბახვი ჰესის პროექტმა გაეროს გლობალური უმთავრესების საქართველოს კორპორაციული მდგრადობის კონკურსის ფარგლებში მიიღო. საერთაშორისო ჟიურიმ კომპანიას ჯილდო SDG (მდგრადი განვითარების მიზანი) მე-16 მიზანი — „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ აღსრულებაში მიანიჭა. ბახვი ჰესის პროექტის ფარგლებში 2021 წლის 5 აგვისტოს დაფუძნებული მრჩეველთა საბჭო, მისი დაფუძნების მიზნითა და მუშაობის ფორმატით, ძლიერ ინსტიტუტად შეფასდა.

იმისათვის, რომ სამყარო უფრო უკეთესი გახდეს, ხოლო სიკეთეები სამართლიანად გადანაწილდეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მდგრადი განვითარების 17 მიზანი შემოუშვა. ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის თითოეული პროექტი, რომელიც სამშენებლო არეალის მახლობლად მდებარე სოფლებში განხორციელდა გაეროს კონკრეტულ მიზანს შეესაბამება. გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების მიზნით მრჩეველთა საბჭოს დაფუძნება პროექტის საწყის ეტაპზე, ექსპერტებმა საუკეთესო გადაწყვეტილებად შეაფასეს.

გიორგი აბრამიშვილი, ბახვი ჰესის დირექტორი.

— ბატონო გიორგი, პირველ რიგში გილოცავთ ამ მეტად მნიშვნელოვან ჯილდოს და გთხოვთ, მოგვიყვით პროექტზე, რომელიც გამარჯვებული გახდა.

— როცა ვსაუბრობთ ქვეყნის განვითარებაზე და ამ პროცესში წვლილის შეტანაზე, მხოლოდ მდგრადი განვითარებას აქვს მნიშვნელობა. ამ პრინციპით მართულ პროექტებს მოაქვთ რეალური შედეგი. ნებისმიერი პროექტის მართვაში კი, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა. სწორედ ეს იყო ამოსავალი წერტილი 2021 წელს, როცა გადაწყვიტეთ, პროექტით დაინტერესებული ჯგუფებისთვის შეგვეთავაზებინა ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს შექმნა. ჩვენ პირველივე დღიდან ვამუშავდით, რომ ამ პროექტს განვახორციელებთ როგორც

ქართული კანონმდებლობის სრული დაცვით, ასევე საუკეთესო დასავლური პრაქტიკების გამოყენებით, რომელიც არსებობს როგორც მშენებლობაში, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტების მართვისას. თუმცა, ვიდრე კონკრეტულად ამ დანაპირების აღსრულებაზე გადავიდოდით, საჭირო იყო იქამდე

მისვლა. იყო ბევრი კითხვა, შიში, მათ შორის არაადეკვატური შიშები და ვიტყვოდი, რადიკალიზმიც დღის წესრიგში იყო ნდობის მოპოვება, მაგრამ მანამდე, საჭირო იყო ერთმანეთის მოსმენა და რაც მთავარია, ერთმანეთის გაგება. პირველივე დღიდან, ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ შემდგარიყო დიალოგი ჩვენსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. დაინტერესებული მხარე ბევრი იყო, შესაბამისად, გამოვყავით შიდა ჯგუფები — მედია, ადგილობრივი მოსახლეობა, ბიზნეს წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციები და თვითმმართველობები. ვთხოვეთ თითოეულ ჯგუფს გამოეყოთ თითო — თითო წარმომადგენელი, რომელიც ბახვი ჰესის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში იმუშავებდა ჩვენთან ერთად. გვექონდა ძალიან კონკრეტული მიზანი, პროცესის გამჭვირვალობა და მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა. საბჭომ მუშაობა 5 აგვისტოდან დაიწყო. წევრები დღემდე უანგაროდ მუშაობენ საბჭოს ფორმატში. ყველა საკითხი, ყველა გადაწყვეტილება, რაც კი ამ წლების მანძილზე მიგვიღია, საბჭოსთან ერთად იყო დამუშავებული. საბჭოს წევრები არიან ე.წ. ელჩები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა

ოზურგეთის მერიაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაყაძე, პირველ მოადგილესთან, გიორგი ლურჯუშვილთან ერთად, ბათუმში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის კონსულტაციის ნარინე მატოსიანს შეხვდა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

„მოხარული ვარ, რომ ოზურგეთში ვუმსახიბლეთ ქალბატონ ნარინე მატოსიანს. პოზიტიური შეხვედრა გვექონდა, სადაც განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმები განვიხილეთ. მადლობას ვუხდით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის რესპუბლიკის გენერალური საკონსულტაციის წარმომადგენლებს ჩვენს მუნიციპალიტეტში სტუმრობის-სთვის და მხარდაჭერისთვის.“ — აღნიშნა ავთანდილ თალაყაძემ.



ბზე დაყრდნობით ვადგენდით. ასევე, იყო გაცნობითი და ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები. ვმოგზაურობდით კომპანიის პორტფელში არსებულ სხვადასხვა პილოტულ პროექტებში და ცოცხალი მაგალითებით ვაჩვენებდით საბჭოს წევრებს, თუ როგორი უნდა იყოს კარგად და სწორად აგებული სადგურით ეფექტიანად მართული გარემოს დაცვითი აქტივობები და სოციალური პროექტები. 2023–2024 წლებში ბევრს ვუშაობდით პროექტების განხორციელების მიმართულებით. ვაკეთებდით ე.წ. საინფორმაციო ტურებს სამშენებლო მოედანზე და ერთად ვაკვირდებოდით, თუ როგორ ასრულებდა კომპანია და ნაპირებს, როგორ მიმდინარეობდა უშუალოდ მშენებლობა და როგორ ხორციელდებოდა გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა, თუ სოციალური პროექტები. 2025 წელს ვართ იმ ეტაპზე, როცა პირდაპირად შესრულებული დანაპირებით ვიწონებთ ერთმანეთთან თავს. გარკვეულწილად მოსავლის აღების პერიოდი გვაქვს. აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ მადლიერი ვართ საბჭოში, რადგან ჩვენ ერთმანეთს ბევრი რამ ვასწავლეთ ამ წლების მანძილზე. პირველ რიგში ის, რომ საკითხის სხვადასხვა პრიზმიდან, პოზიციიდან დანახვა საბოლოო ჯამში საუკეთესოდ აქცევს პროექტს. მოთმინება ვისწავლეთ, ანგარიშგაღებულებაც და ჩართულობის მნიშვნელობაც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვისწავლეთ მოსმენა და როგორც კი, ეს ვისწავლეთ, მივხვდით და დავინახეთ, რომ ჩვენიც ესმით. ჩვენს მიერ ნათქვამი სიტყვაც იქნა გაგებული. მოკლედ,

ბევრს აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ერთი ძალიან საინტერესო ამბის მონაწილეები გახვდით და ეს არის ნამდვილად ფანტასტიკური გამოცდილება. პროექტის დასრულების შემდეგ, დარწმუნებული ვარ ჩვენ დიდი სამაგიერო ჩამოვართმევთ ერთმანეთს ხელს და გადავუხდით მადლობას ერთმანეთს იმ გამოცდილებისთვის, რაც ამ დროის მანძილზე დავაგროვეთ.

დავინახავთ უარით

ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მწვანე გურია“ ფარგლებში ჩატარებული საგრანტო კონკურსის პროცესისა და შედეგების მოკლე მიმოხილვა



ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში CENN-მა, პარტნიორ ორგანიზაციებთან – „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (YPU), დემოკრატიის ინსტიტუტი (IOD) და ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG) – ერთად 2024 წლის 1 აპრილს გამოაცხადა საგრანტო კონკურსი გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტისთვის (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი). საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა შემდეგი წყაროებით: CENN-ის ვებგვერდი, CENN-ის ოფიციალური Facebook-გვერდი, CENN Newsletter, ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ვებგვერდი, ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ოფიციალური Facebook-გვერდი, ჩოხატაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ვებგვერდი, ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ვებგვერდი, ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის აცტოლოგ-გვერდი, „ახალგაზრდა ოფიციალური Facebook-გვერდი, დემოკრატიის ინსტიტუტის ოფიციალური Facebook-გვერდი, სათემო შეხვედრები ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში.

საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავდა, გურიის რეგიონის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად, ადგილობრივი თემების კეთილდღეობისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციას, ინვესტიციების მოზიდვას, კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობას, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას თანამონაწილეობრივი და სტრატეგიული დაგეგმვის გზით.

საგრანტო კონკურსი მოიცავდა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- **სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;**
- **ტურიზმის განვითარება;**
- **ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერება;**
- **ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია;**
- **გარემოს დაცვა;**
- **განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები;**
- **სხვადასხვა სფერო, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.**

საგრანტო კონკურსი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს, კერძოდ:

- **I ეტაპი – საგრანტო განაცხადის წარდგენა;**
- **II ეტაპი – პროექტის პრეზენტაცია და საგრანტო კონკურსის კომისიის წევრებთან გასაუბრება;**
- **III ეტაპი – პროექტის ადგილზე გაცნობა (მონიტორინგი);**
- **IV ეტაპი – საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება.**

აღსანიშნავია, რომ საკონკურსო პერიოდში, განაცხადების შემოტანამდე, პროექტის გუნდი დაინტერესებული პირებისთვის აწყო ინდივიდუალურ და ჯგუფურ საკონსულტაციო შეხვედრებს პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით. ასევე, საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე ყველა დაინტერესებული პირისთვის ჩატარდა შესაბამისი თემატური ტრენინგები. აღნიშნული კონსულტაციები, ისევე, როგორც ტრენინგები, ხელმძღვანელობდა იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საგრანტო კონკურსის შეფასების კომისია დაკომპლექტებული იყო პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით და მასში 10 წევრი (4 წევრი – CENN, 2 – დემოკრატიის ინსტიტუტი, 2 – ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG), 2 – „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“) შედიოდა. ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების მმართველი საბჭოს

წევრები ჩართული იყვნენ საგრანტო კონკურსის ყველა ეტაპის მუშაობაში, მონაწილეობდნენ პროცესში დამკვირვებლის სტატუსით და არ გააჩნდათ პროექტების შეფასებისა და ხმის მიცემის უფლება. კომისიის ხელმძღვანელობდა CENN.

საგრანტო კონკურსის კომისიის მიერ განაცხადები შეფასდა წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად. ინფორმაციაზე ამ კრიტერიუმების შესახებ ხელი მიუწვდებოდა ყველას – ის განთავსებული იყო LAG-ებისა და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე. დამატებითი ინფორმაცია კრიტერიუმების შესახებ მიეწოდებოდა ასევე დაინტერესებულ პირებს საგრანტო კონკურსის ფარგლებში ორგანიზებულ საკონსულტაციო შეხვედრებზე.

განაცხადები შეფასდა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- **კომერციული პროექტები:** არსებული მდგომარეობის აღწერა და ღირებულების ანალიზი; პროექტის აღწერა; განმცხადებლის კვალიფიკაცია და განათლება; პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი; დასაქმება; წარმოებული პროდუქტი და მომსახურება; მარკეტინგის სტრატეგია; ინოვაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება დაგეგმილ საქმიანობაში; განვითარების პოტენციალი და მდგრადობა.

- **სოციალური პროექტები:** განაცხადის შესაბამისობა საგრანტო კონკურსის მიზნებსა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ამოცანასა და მიზნებთან; საგარეო გავლენა სამიზნე ჯგუფებსა და ბენეფიციარებზე; ბიუჯეტის ეფექტიანობა, განმცხადებლის წილობრივი მონაწილეობა (რამდენად ზუსტი და გონივრულია ბიუჯეტი და რამდენად ოპტიმალურად არის ხარჯები განაწილებული); შემოთავაზებული ინიციატივის დროში განხორციელების რეალისტურობა (რამდენად რეალისტურია ინიციატივის ფარგლებში შემოთავაზებული აქტივობების განხორციელება მოცემულ პერიოდში, თვეებში); შემოთავაზებული ინიციატივის შეფასებისა და მონიტორინგის სის-

ტემის ეფექტიანობა; მოსალოდნელი შედეგები (რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული მოსალოდნელი შედეგები, რამდენად რეალისტური და მნიშვნელოვანია შედეგები); მოსალოდნელი შედეგების მდგრადობა/სიცოცხლისუნარიანობა; მოსალოდნელ რისკებთან გამკლავების მიდგომების რეალისტურობა და ეფექტიანობა; განმცხადებლის მენეჯერული გამოცდილება (იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ განმცხადებელს აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს შემოთავაზებული აქტივობები); ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის იდეასთან.

საგრანტო სახელმძღვანელოში, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი საგრანტო განაცხადების მიღებისა და შეფასების პროცესი, გამოიყო შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უნდა გათვალისწინებინათ პოტენციურ გრანტიორებს:

საგრანტო კონკურსში განმცხადებელს შეეძლო მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა; ასევე, განმცხადებელი არ უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული მოსარგებლედ სხვა პირების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო განაცხადებში. ღოკუმენტში ასევე აღნიშნული იყო, რომ ერთ მისამართზე რეგისტრირებული ერთი ოჯახიდან მიიღებოდა მხოლოდ ერთი განაცხადი.

მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დაქირავებული (უკვე არსებული ბიზნესის შემთხვევაში) თანამშრომლების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

არსებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მონიტორინგის ეტაპზე გადასული პროექტების ბიუჯეტით მოთხოვნილი თანხა აღემატებოდა პროექტით განსაზღვრულ საგრანტო ბიუჯეტს. შესაბამისად, პროექტის გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება და კომისიამ საბოლოო პროექტების შერჩევისთვის შეიმუშავა და დაამტკიცა დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც შეესაბამებოდა საგრანტო კონკურსის განსაზღვრულ მიზნებს, ამოცანებსა და ინდიკატორებს.

- **დამატებითი კრიტერიუმები:** კომერციული პროექტებისათვის – ეკონომიკური ღირებულებების ჯაჭვი; პროექტის პროგრამული (ნარატიული) და ბიუჯეტით მოთხოვნილი ფინანსური რესურსების (ტექნოლოგიების და სხვ.) შესაბამისობა ერთმანეთთან; საწარმოებისა და ტურისტული ლოკაციებისთვის საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების მოთხოვნა (ISO, HACCP); უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა.

სოციალური პროექტებისათვის – საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა (სკოლა, საბავშვო ბაღი), პროექტის ბენეფიციარების რაოდენობა და მოთხოვნილი ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტით

გათვალისწინებულ საქმიანობებთან.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მიღებულ იქნა 342 სამოქმედო განაცხადი (სამივე მუნიციპალიტეტში).

საგრანტო კონკურსის მიერ დაფინანსებული პროექტები

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მიღებული 342 განაცხადიდან 51 პროექტი დაფინანსდა. აღნიშნული 51 ინიციატივის დაფინანსებით სრულად ამოიწურა პროექტით განსაზღვრული, საგრანტო კომპონენტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

დაფინანსებული მიმართულებები:

- **სოფლის ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა:** საოჯახო სასტუმროები, კოტეჯები, გურული ჩაისა და გურული ღვინის მუზეუმები, ღვინის ტურისტული პროექტები;

- **სოფლის მეურნეობა და აგრობიზნესი:** სათბურები, მეღვინეობა, მოცვის, მარწყვის, ყვავილებისა და ჩირის წარმოება;

- **განათლება და ინოვაცია:** STE-ლაბორატორიები, სკოლის ლაბორატორიები;

- **ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა:** მზის ენერგიაზე მომუშავე საწარმოები, ეკოლოგიური ინიციატივები;

- **სოციალური და კულტურული პროექტები:** სათამაშოების წარმოება, ისტორიული მარნების აღდგენა, სამზარეულოსა და სარესტორნო სივრცეების მოწყობა.

დაფინანსებული პროექტები საგრანტო დადებით გავლენას მოახდენს როგორც ინდივიდუალურ ბენეფიციარებზე, ისე მთლიანად რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

პროექტის შესახებ
პროექტი „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ საქართველოს რეგიონში, კერძოდ, გურიის სამ მუნიციპალიტეტში – ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში 2023 წელს ჩამოყალიბდა ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები. პროექტს ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ქედის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან (LAG) თანამშრომლობით. პროექტის მიზანია სიღარიბის შემცირება და მოწყვლადი თემებისთვის ეკონომიკური და სოციალური გარემოსა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სამოქალაქო ჩართულობის, სოფლის ინკლუზიური განვითარებისა და მწვანე ზრდის მხარდაჭერის გზით.

ეს მასალა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და, შესაძლოა, ის არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

დაფინანსებული ფართი

ოჯახური ისტორიის გადასახელით, ფურცლებზე დატანილ სიტყვათა კინეზულში, კადრები დანისლული მოგონებებიდან

გადასახლება – რამდენ ტკივილთან ფურცლად შემორჩენია თავად ეს სიტყვა გასულ საუკუნეს, რამდენი უკანასკნელი ამოსუნთქვა ჩაბრუნებია გულს სამშობლოსგან მოშორებით და სამშობლოს მონატრებით.

ერთ-ერთი საუბრის დროს, რამდენიმე ფაქტის გახსენებას მოჰყვა ამ წერილის მომზადების იდეა. ვთხოვე ხათუნა გორგოშიძე - სურგულაძეს, მასალები მოეწოდებინა.

თვალწინ მიდევს დრო-ჟამისგან შეყვითლებული ეს ფურცლები, ბევრი ჩასწორებით, ბევრი გადახაზვით. და განა რა შეუძლია, თუნდაც ამ უმძიმეს მოგონებებს, როცა ხელაღებით, მაშინდელი რეჟიმის, მავანთა პირადი შეხედულებებითა და ინტერესთა გათვალისწინებით, წყდებოდა ოჯახთა ბედი, ზმირად, საავდრო განაჩენით.

თავდაპირველად, მშრალი ბიოგრაფიული ცნობებიდან.

მიხაკო გორგოშიძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. დაიჭრა და ტყვედ აიყვანეს. როგორც წერილშია აღწერილი, გაამწესეს საფრანგეთის ტყვეთა ბანაკში. მისი მეუღლე ლოლა მჟავანაძე გახლდათ. 4 შვილი ჰყავდათ: გურამი, როდიონი, თამაზი, ემენი.

გურამ გორგოშიძე - აგრონომი, ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი; მეუღლე ლამარა ლომჯარია – ქიმიკოსი, პედაგოგი. შვილები: ხათუნა ეკონომისტი, მუშაობს მუნიციპალიტეტის მერიაში, ეკონომიკისა და დაგეგმარების სამსახურის უფროსია. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ორი შვილი ჰყავს ხათუნას, ზაზა და დავითი. ზაზა, მომავალი იურისტი, წარმატებული სტუდენტია. დავითი მოსწავლეა და ფეხბურთელობა უნდა.

ირმა გორგოშიძე პროფესიით ექიმი. მისი შვილი ნიკოლოზიც ასევე მომავალი იურისტი და წარმატებული სტუდენტი.

თამაზ გორგოშიძე კერძო ბიზნესში იყო წარმოდგენილი, მეუღლე – მელა ვასაძე დიასახლისია. შვილები მირანდა და მათა გორგოშიძეები – პედაგოგები არიან.

როდიონ გორგოშიძე პროფესიით აგრონომი იყო. მეუღლე მზევინარ გორგოშიძე – ქიმიკოსი. ეკა პედაგოგია, მიხეილი – ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელი.

ემენი გორგოშიძე – პედაგოგი იყო;

მიხაკოს შვილები ჯერ კიდევ მცირეწლოვანნი იყვნენ, როცა მათ ოჯახს გადასახლების უმძიმესმა განაჩენმა მოუკაკუნა.

ყველაფერი დაიწყო ასე - „1951 წლის დეკემბრის შუა დამისას, ყველა გამოგვავლიდა ძაღლის გააგებულმა ყეფამ. გახედა მამაჩემმა და შენიშნა უცხო კაცი, რომელიც მოურიდებლად ამოვიდა კიბეზე. შემოვიდა მისაღებ ოთახში და განაცხადა: – უმისწოების კომიტეტიდან ვარო. გახსნა მხარზე გადაკიდებული ე.წ. „პალევაი“ ჩანთა, ამოიღო ქაღალდი და წაიკითხა სია ჩვენი ოჯახის წევრებისა, მამაჩემის, დედაჩემის და მათი ოთხი შვილისა. შეგვკრიბა „ხალაში“ და გამოვიცხადა – რომ, ჩვენს ოჯახს უნდა დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები. ვინაიდან გადასახლებულნი ვიყავით.

მე უკანა კარიდან დავაპირე მეზობელთან გადასვლა, რომ შემეტყობინებინა, მაგრამ რუსის ჯარისკაცის მკაცრმა ხმამ უკან შემო-

მაბრუნა. ამ დროს ისმის დედაჩემის ცივი კივილი, რამაც შეჰყარა სამეზობლო, მაგრამ ეზო ოცეულით იყო გარს შემორტყმული და არავის უშვებდნენ. მოულოდნელად მოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ეუბნება ამ უცხო კაცს, რომ რამდენიმე მეზობელი შემოეშვათ, ბარგის მოგროვებაში რომ დაგვხმარებოდნენ. შემოუშვეს რამდენიმე მეზობელი, ერთი საათი დრო მოგვცეს. ვინ რას ჰყრიდა ტომრებში, როგორ კოჭავდა თოკით ლებს და საბანს, გვაცმევდა თბილ ტანსაცმელს, თუ რამე გაგვანდა. ასე მოგვამზადეს მეზობლებმა და და დაგვცვეს მაშინდელი „ზისის“ მანქანის ღია მარაზე. „ზისი“ – ზავოდ იმენი სტალინი“.

ჩემმა უფროსმა ძმამ, რომელიც მეექვსე კლასში სწავლობდა, წინააღმდეგობა გაუწია იმ მოტივით, რომ დილით სკოლაში უნდოდა წასვლა, „მე თქვენთან არ წამოვალ“.

წიწილასავით ააფქიალეს და მანქანის მარაზე შეიქნეს. უცხო კაცი კაბინაში ჩავდა, დედაჩემი აკენის ბავშვთან ერთად, ღია მარაზე მოათავსეს, „ოზურგეთიდან ბათუმში წაგვიყვანეს. ხუთი საათი დაგვავით გზაში. სიცვიისგან გათოშილები, ყველანი ვკანკალებდით. ბათუმში მანქანა მატარებლის შემადგენლობას მიაყენეს, ერთ სასაქონლო ვაგონში ჩავგვტვირთეს. შემადგენლობასთან ცხენოსანთა კავალერია იდგა და ახლობლებს ახლო არ უშვებდნენ. ერთ ვაგონში 13-14 ოჯახი ვიყავით, მინიმუმ - 40-45 სული. კარები ჩაკეტილი, ერთი პატარა სარკმლის ანაბრა. საიდანაც პაერი შემოდიოდა. გვესმოდა ახლობლების გამანეგებელი შემახილები – იმედს ნუ დაკარგავთ, თავს გაუფრთხილდით, ბავშვებს მოუარეთ, თქვენ დაბრუნდებით და ა.შ. ..

შეზინდებისას, ეშელონი დაიძრა და რაც მაშინ მოხდა, ამას ენით ვერ გადმოსცემ და ვერც ქაღალდზე დაწერ. ეს კაცს უნდა ენახა, რომ განეცადა ის საშინელება, რასაც, ნამდვილად არ ვუსურვებ არავის. გარედან ახლობლები კიოდნენ და დაძრულ შემადგენლობას მოსდევდნენ. შიგნით ვაგონში ატყდა ქალების კივილი და თავ-პირში ხელების ცემა, მამაკაცთა არაადამიანური ღმულის ყოველივე ამის შემყურე, შემინდნენ და ატირდნენ ბავშვებიც. გარედან ახლობლების ხმები აღარ ისმოდა. ეს ნიშნავდა, რომ მატარებელმა აკრიბა სიჩქარე, დაგვაშორა ნათესავებს, მეზობლებს, თანდათან ვშორდებოდით სამშობლოს.

ბნელ ვაგონში სამარისებულმა სიჩუმემ დაისადგურა. ზოგს ჩაეძინა, ზოგი ხმას არ, ან ვერ იღებდა. მოუხედავად შიმშილისა, არავის ჰქონდა ჭამის სურვილი. ვაგონში გათბობა არ იყო. ერთ გაჩერებაზე გაიღო ვაგონის კარი და „საღლათებმა“ შემოიტანეს „აციკოვანი ვედროები“, ერთ ოჯახზე ერთი ცალი, რაც უნდა გამოეყენებინათ ბუნებრივი მოთხოვნილებისთვის. დიდი მოთმენის მიუხედავად, დაიწყეს მისი გამოყენება. ვაგონში საშინელი სუნი იდგა. თანდათან უარესდებოდა მდგომარეობა. მერე მამაკაცებმა მოიფიქრეს ვაგონის იატაკის ამოჭრა, ჩამოიკიდეს ადიდები და ასე მოაწყვეს „საპირფარეშო“.

ვიწყებთ თაროებზე ბავშვები, რომ არ გადმოვარდნილიყავით, თოკით, ან ქამრით გვაკრავდნენ, ბევრჯერ იყო გადმოვარდნის შემთხვევა. გაჩერე-



გურამი (მარჯვნივ), როდიონ გორგოშიძე; ბაბია ოლია(ლოლა) მჟავანაძე.

ებზე, ვიწრო სარკმლიდან კითხულობდნენ სადგურის სახელებს და პასუხის მიღების შემდეგ ხდებოდნენ უფროსები, თუ სად ვიმყოფებოდით. კივილი კიდევ ერთხელ ატყდა, როცა საქართველოს საზღვარი დაეტოვეთ.

შემადგენლობის ბოლოს ჩაბმული იყო „სახალხო ვაგონი“ გამცილებლებისთვის. და „კუნია“, საიდანაც „საღლათები“ გვიზიდავდნენ ბორშს, ან „გაროხის“ სუპს შავ პურთან ერთად.

გადავლახეთ მდინარე ვოლგა და უფროსებისთვის ნათელი გახდა, რომ მივყავით შუა ზიის მიმართულებით. სასტიკად აცივდა, ვაგონს შიგნით თუ რაიმე რკინის დეტალი იყო, ყველაფერს თეთრად მოედო ყინვა. შემოიტანეს ქვანახშირის ღუმელი და ორი რკინის ყუთი ერთი ნახშირით, მეორე დამწვარი ნახშირის ჩასაყრელად. ვაგონში საშინელი კვამლი იყო, ვიგულებოდით, მაგრამ, გათბობაც საჭირო იყო.

ერთ დღეს, ვაგონში ატყდა ჩოჩქოლი (ბუნტი), თურმე ორთქმავალზე, რომელსაც შემადგენლობა მიჰყავდა, ვირაცამ შენიშნა წარწერა „დობროვილიც“ (მოხალისეები). ასე ნიღბავდა მაშინდელი ხელისუფლება უდანაშაულო ხალხის გადასახლების პროცესს. წარწერა ჩამოხსნეს.

თხუთმეტი „სუტკის“ შემდეგ, გაცვილდით ურალს. კიდევ 12 „სუტკა“ ვიარეთ თვალუწვდენელ, თოვლით დაფარულ, დაუსახლებელ ტრამალებზე. 26-ე დღეს ჩავადწიეთ ერთ-ერთ რკინიგზის სადგურ, ე.წ. „ბახტარალში“. 1952 წლის 8 იანვარს, გადაიტანეს ჩვენი ბარგი „გაზ-51“ ტიპის ღია მარაზე, ჩვენც დავსხედით და გაგვიყენეს გზას. თუმცა მადლიერებით მინდა ვთქვა, რომ გამცილებელი, ეროვნებით ყაზახი მამაკაცი დაჯდა მარაზე და დედაჩემი და უმცროსი ძმები კაბინაში დასვა.

მანქანები მოლიპულ გზებზე ვერ მოძრაობდნენ და ორი, სამი მანქანა გადაბმული მიჰყავდა ტრაქტორებს. გავიარეთ კიდევ 27 კილომეტრი და ჩავედით კიროვის რაიონში. კოლმეურნეობა „ნებეში“ მოგვცეს მიწურის ტიპის საცხოვრებელი. 1941 წელში, ვოლგისპირიდან გადასახლებული გერმანელები ცხოვრობდნენ თურმე ჩვენს მეზობელად. ერთმა გერმანელმა მეზობელმა მოიტანა თივა, დაგვიგეს მიწურში მიწაზე. ზემოლანაც თივა გადავიყარეთ და ასე „გვეძინა“ იმ დამეს. მეორე დღეს, იმავე მეზობელმა მასთან გადაგვიყვანა და გადაგვავლებინა თბილი წყალი. შეგვიკეთა მიწურში ჩადგმული რალაცნარი ღუმელი „პლეტა“, საწ-

ვავად მოგვითქანეს საქონლის გამზარი ნაკელი. გვასწავლეს, სად შეიძლებოდა ბამბის ღერების მოგროვება, რასაც ასევე საწვავად ვიყენებდით. კვამლის გამო სუნთქვა გვიჭირდა, თვალებიდან ცრემლები გვდიოდა. საოცრება და სიხარული ის იყო, რომ ტომარაში აღმოგვაჩნდა მთლიანი ღორი, რომელიც ისე იყო გაყინული, კამერა მაცივარში გაყინულს ჰგავდა. თურმე საახალწლოდ დასაკლავი ჩვენი ღორი მეზობელს სწრაფად დაეკლა, გაესუფთავებინა და ტომარაში ჩადო.

ძმამე მეზავრობამ და შიშმა დედაჩემი ლოგინად ჩააგდო. 34 წლის იყო და 50 წლის ქალს დაემსგავსა. ნ თვე იყო ლოგინად ჩავარდნილი. მე, და ჩემს უფროს ძმას დაგვაწვა ოჯახის სიძმამე, დედისა და უმცროსი ძმების მოვლა. მამაჩემი კოლმეურნეობაში მუშაობდა. უფროსი ძმა დილით მიდიოდა სკოლაში, მე კი ნაშუადღევს. მორიგეობით „ვუძღვეოდით“ ოჯახის საქმეებს. აუტანელი საცხოვრებელი პირობები გვქონდა. 3 კილომეტრიდან ვეზიდებოდით სასმელ წყალს. წყალი, ვამბობ, თორემ ეს იყო მომწვანო, ბლანტი სითხე, რომელიც უნდა გადაგვეღებინა, და შემდეგ მოგვეხმარა. წყალი ხელოვნური არხით მოედინებოდა მდინარე სირდარიდან. ბამბის პლანტაციების მორწყვა რომ მოთავდებოდა, წყლის მოწოდებაც წყდებოდა. წყალს, ხელოვნური ჩამკეტებით აკავებდნენ არხში. კოლოები მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ფუტკრის მართვევით მოდიოდნენ გუნდად. საწოლების თავზე მარლები გვქონდა გადაკრული, რომელიც ნაწილობრივ გვიფარავდა.

მამაჩემი კოლმეურნეობაში მუშაობდა და გამომუშავებულ შრომად ლეზე ანაზღაურება გვეძლეოდა ნატურით – ხორბალი, მარცვალი ლობიო, სახამთრო, ნესვი, ხახვი, მაკარონი, ცხენის შებოლილი ხორცი, რაც იყო ჩვენი საჭმელი. ხორბალს ხელის წისქვილზე ვვჭკავდით რის ვაი ვაგლახით. ქვის დაბრუნებას ძალა უნდოდა, მე კი სულ 8 წლის ვიყავი. ზამთარ-ზაფხულ გვეცვა დაბამბული ქურთუკი და შარვალი, რაც ყინვისგანაც გვიფარავდა და სიცხისგანაც. ზაფხულში 50-55 % სიცხე იყო. ზამთრისთვის გასათბობად ვიმარავებდით საქონლის ნაკელს, რასაც ვაგროვებდით სოფლის ქუჩებში, ვზეღდით ხელით, ვაძლევდით მრგვალ ფორმად და ვაკრავდით მიწურის კედლებზე. რომელიც ხმობოდა და თავისით ცვიოდა დაბლა, ჩვენც ვაგროვებდით და ვაწყობდით გამხმარ ლეპიოშებს, ასე ეძახდნენ

მას. წვის დროს ჰქონდა საშინელი კვამლი და სუნი. გაზაფხულზე, როცა ბამბის ყვავილის მტვერი ერეოდა პაერს, განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებს უსწეულებდა თვალებს, ფაქტურად ბრმავდებოდნენ. მაისის ბოლოსთვის ნელ-ნელა ეხილებოდათ ხოლმე თვალები. დაძინების წინ მიწურის შესასვლელთან და ირგვლივ ვაფენდით ცხვრის ტყავს, ცხვრისავე შარდით გაჟღენთილს, გველი რომ არ გადმოსრილებულიყო. /ამბობდნენ შველისო/.

სკოლაში, კედელზე გაკრულ საბჭოთა კავშირის რუკაზე, მიჩერებული ვიყავით იმ ადგილს, სადაც ეწერა „გრუზინსკი სსრ“, ხოლო გარეთ გაფურებადით იმ ჰორიზონტს, სადაც საქართველო გვეზულებოდა.

ერთ დღეს, სადილობისას, (სადილად გვექონდა პური, სახამთრო და მაკარონი.), ჩემდაუნებურად ცრემლები წამომცვივდა, ვინატრე, სახლში როდის დავაბრუნებნ, იქაური საჭმელი მომენატრა მეთქი. გავიგონე, მამაჩემმა დედაჩემს უთხრა: ტყვია კი მომხვდა ომში ბარე სამი, ერთს მაინც მოვეკალი, რომ ამ საცოდაობისთვის არ მეყურებინა. არც თქვენ გადაგასახლებდნენ.

მოგვიანებით, 80-იან წლებში ვლადიმირის ოლქში არსებულ პატიმართა არქივში მოვიპოვე მამაჩემის პირადი საქმე, სადაც ეწერა, რომ იგი ჩავადრა ტყვედ, გადაყვანილი იქნა საფრანგეთში, ტყვეთა ბანაკში. პირად საქმეში დევს ფოტო, ზოლიანი ფორმით გადაღებული ცხენით და „ტაჭკით“, ტყვეთა ბანაკში ეზიდებოდა წყალს...აი მამაჩემის დანაშაული, რისთვისაც გადაგვასახლეს 36 წლის მამა, 34 წლის დედა, 12 წლის უფროსი ძმა, 8 წლისა თავად მე, უმცროსი ძმები - 3 წლის და 1 წლისა და 6 თვის.

მართალია დაგბრუნდით 1953 წლის ოქტომბერში, ნულიდან დაიწყო ჩვენმა ოჯახმა ფეხზე დადგომა. დავამთავრე სკოლა და გამიწვიეს საგაღმწეო სამხედრო სამსახურში. რომელმა კრიტერიუმმა უნდა შეგვიფასოს მორალური ზიანი მაშინ, როცა წავგართვეს ბავშვობა, მოგვეწყვიტეს სამშობლოს, ვზედავდით როგორ იხოცებოდნენ ქართველები შუა აზიის აუტანელ პირობებში...


კითხულობ ამ უმძიმეს ისტორიას, რომლის ავტორი (წერილის აღწერილობით თამაზი), მაშინ მხოლოდ რვა წლისა იყო. თუმცა ისე დეტალურად, თანმიმდევრული მეხსიერებით და საოცარი სიმძაფრით აქვს გადმოცემული ეს ყველაფერი, ახლაც კინოკადრებად გიცოცხლდება აღწერილი ყველა ფაქტი. ჩაგვსმის მატარებლის უსიამოვნო, რიტმული ხმაური და უმწეო ადამიანთა ის მოთქმა-გოდება, რაც ამ ხმაურს გასდევდა. აქ კარგად ჩანს რომ მათი ოჯახი ერთმანეთზე ზრუნვამ გადაარჩინა. ყველა წევრი დაუბრუნდა სამშობლოს, მაგრამ, ხომ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ვეღარ დაუბრუნდნენ თავიანთ კერას და უცხო მიწას შეერივნენ.

გადმომახილი წელთა მიღმიერი დროებიდან-რითია შესაძლებელი განსაზღვრო სამშობლოს, ოჯახის, დედამამიშვილობის ფასი, როცა ეს ყველაფერი შეუფასებელი სულიერებაა.

მამაშადა

ნინო ნიკოლაიშვილი.

იუბილეები და იუბილარები



წინასწარ გეტყვით, მომდევნო წერილი მეტად თეორიულია, თუმცა, რომ იტყვიან სხვანაირად არ შემეძლო.

რასც ქვემოთ წაიკითხავთ, ნომდევნო სამი წლის სამუშაო გეგმის დასაწყისია.

„ალიონიდან“ მინდოდა დამეწყო და...

ვიწყებთ...

„თ“ შემთხვევით კი არა დაეწერე...

თქვენ, „ალიონი“ და მე...

მოკლედ, ერთად აღნიშნოთ იუბილეები გაზეთ „ალიონის“ უკვე ნაცნობი გვერდებიდან...

რატომ უნდა აღნიშნოთ იუბილეები

